მინდობილობა

ორიათას ცამეტი წლის ოცდასამ სექტემბერს მე, **დავით შავიშვილმა** (დაბადებული 05.01.1930 წელს ოზურგეთში, რეგისტრირებული თბილისში, თ. იოსებიძის ქ. №72-ში. პირადობის მოწმობა №13IB05159, პირადი №01024058345, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 08.07.2013 წელს) შპს "ლადა ახალი ბიზნესი NB" დამფუძნებელმა და დირექტორმა, **ვლადიმერ ცხიტავას** (დაბადებული 19.06.1982 წელს ზუგდიდში, რეგისტრირებული ზუგდიდი ს. ოდიშში, პირადობის მოწმობა №11IC29837, პირადი №19001014436, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 02.04.2012 წელს) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ინდ. მეწარმე **"ვლადიმერ ცხვიტავა"-მ** წარმოადგინოს ჩემი, **დავით შავიშვილის** ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო სამსახურებთან (დაწესებულებებთან), მათ შორის თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან (მერიასთან) ურთიერთობაში.

ვლადიმერ ცხვიტავამ შპს "ლადა ახალი ბიზნესი NB"-ის **სახელით** (შპს "ლადა ახალი ბიზნესი NB"-is საკუთრებაში არსებული **კომერციული ფართის, მდებარე: თბილისი მოსკოვის გამზ. №39 "ა"-ში) ვლადიმერ ცხვიტავას მიერ დაქირავებული ფართის ფასადის რეკონსტრუქციის მიზნით, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს წარუდგინოს და მიიღოს შესაბამისი საბუთები. ვლადიმერ ცხვიტავამ** ხელი მოაწეროს ამისათვის საჭირო საბუთებს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 2013 წლის 23 დეკემბრამდე.

დავით შავიშვილი დავით შავიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131000132
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.09.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შალვა ფაღავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, მოსკოვის გამზირი N40**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2707904
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31409917462713

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო. ქ. თბილისი ორიათას ცამეტი წლის ოცდასამი სექტემბერი

მე, შალვა ფაღავა, ნოტარიუსი ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის №40-ში, სანოტარო ბიუროში, ვამოწმებ **დავით შავიშვილის** (დაბადებული 05.01.1930 წელს ოზურგეთში, რეგისტრირებული თბილისში, თ. იოსებიძის ქ. №72-ში. პირადობის მოწმობა №13IB05159, პირადი №01024058345, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 08.07.2013 წელს), მხოლოდ, ხელმოწერის სინამდვილეს **მისი 23.09.2013 წლის მინდობილობაზე. ამ მინდობილობაზე დავით შავიშვილის** ხელმოწერა შესრულებულია ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით. **დავით შავიშვილის** პირადობა დადგენილია და ქმედუნარიანობა შემოწმებულია. **(ამ მინდობილობაზე ვამოწმებ დავით შავიშვილის** მხოლოდ ხელმოწერის სინამდვილეს და არა მინდობილობის შინაარსის სიზუსტეს (სინამდვილეს), არ ვამოწმებ აღნიშნული მინდობილობის შინაარსის შესაბამისობას კანონმდებლობასთან). **დავით შავიშვილი გაფრთხილებულია მინდობილობის შინაარსის სინამდვილესთან შეუსაბამობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ.** "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები"-ს შესახებ მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 6 (ექვსი) ლარი + 2 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური (აღნიშნული დადგენილების (წესის) 39-ე მუხლის თანახმად) სულ 8 რვა) ლარი. (ეგზემპლარის რაოდენობა, სამი).

ნოტარიუსი /შ. ფაღავა/